პოლიტიკური კონფლიქტების მართვა და რეგულირება

(აფხაზეთის კონფლიქტის მაგალითი)

ანოტაცია

ნაშრომში ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, შესწავლილია აფხაზეთის კონფლიქტის ნიუანსები, დეტალები. მოყვანილია კონფლიქტის მოგვარების გზაზე მდგარი ქვეყნის პოზიციები მასზედ, თუ რომელი გზა იქნება უმოკლესი კონფლიქტის დასასრულებლად.

დასაწყისში მოკლედ აღწერილია რუსეთის რესპუბლიკის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ეთნოკონფლიქტის გაჩაღება. ძირითად ნაწილში დეტალურად განხილულია ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში არსებული ორი ძირითადი მიმართულება: ილუზორულ-ეთნოკრატიული ფუნდამენტალიზმი და სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი.

ნაშრომში ქრონოლოგიურად განხილულია რუსეთის შემდგომი პროვოკაციები საქართველოს მიმართ, რამაც 2008 წელს კვლავ ომამდე მიგვიყვანა. საინტერესოა რადიკალურად განსხვავებული, ამჟამინდელი და ყოფილი მმართველი პარტიების პოლიტიკური ხაზი.

პოსტსაბჭოთა ქვეყნები გადარჩენისთვის იბრძვიან. აგრესორი კრემლი კვლავაც არ თმობს პოზიციებს, რამაც უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყება გამოიწვია. უკრაინის პოზიციამ და მედგრად დგომამ მსოფლიოს არნახული მხარდაჭერა დაიმსახურა. ისტორიაში არნახული რუსეთისთვის დაკისრებული სანქციები ასუსტებს რუსეთის ფედერაციას, რაც პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს წინსვლასა და კეთილდღეობას ჰპირდება. საინტერესოა რა როლს თამაშობს ამჟამინდელი უკრაინის კონფლიქტი ერთიანი ქართული სახელწიფოს შენებაში.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური კონფლიქტები, ოკუპირებული ტერიტორიები, სეპარატისტული რეჟიმი, კონფლიქტების მოგვარების ახალი საგზაო რუკა.

ელგუჯა ქავთარაძე
სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
პოლიტიკის მეცნიერებების
მიმართულების პროფესორი

MANAGEMENT AND REGULATION OF POLITICAL CONFLICTS

(example of conflict in Abkhazia)

Elguja Kavtaradze
Sukhumi State University
Professor of Political Sciences

ANNOTATION

This Studies aims to analyze "The main tendencies of public-political opinion in the management and regulation of political conflicts". Based on the actual facts we explored nuances of the conflict of Abkhazia. The dissertation analyzes the shortest ways to end the conflict.

The introduction briefly describes the violation of the territorial integrity of Georgia by the Russian Republic and the outbreak on ethnic conflict. The dissertation analyzes two main lines of Georgian socio-political thinking in regards to conflict resolution of Abkhazia, collaborationist-capitulatory and legal-political.

In the dissertation there is a chronological discussion Russia's provocations towards Georgia, which took us to war in 2008. It's interesting how radically different are political lines of current and former ruling parties of Georgia.

Former Soviet Union countries are fighting for their survival, but aggressive Kremlin is not going to give up their positions, which caused the outbreak of war in Ukraine. Ukraine's position and steadfastness have earned the unprecedented support of the world. The sanctions which was never seen before in history, weakens Federation of Russia, meanwhile this is the chance for former Soviet Union countries. Among them, it promises the progress and prosperity for Georgia. The current conflict of Ukraine can play a big role in building a united Georgian state.

Key words: political conflicts, occupied territories, separatist regime, new road map for conflict resolution.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი უახლესი ისტორიის უაღრესად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ მეცნიერებას ესაჭიროება ფუნდამენტური თეორიული კვლევა იმის შესახებ, თუ რა საზოგადოებრივ-პოლიტიკური დამოკიდებულებაა დღეს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ. განსაკუთრებით იმ პერიოდში, როდესაც პოსტსაბჭოთა საქართველო სახელმწიფო დემოკრატიული საზოგადოების ფორმირების გზაზე იმყოფება. განსახილველია, თუ რა გზას ადგას ქართული პოლიტიკური სპექტრი ტერიტორიების რუსეთის მიერ ანექსირების შემდეგ. განვსაზღვროთ, რომელ კურსს ირჩევს მმართველი პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, რა კურსი აირჩია წინამორბედმა ხელისუფლებამ და რას ირჩევს ხალხი.

განვიხილავთ ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში არსებულ ორ ძირითად მიმართულებას აფხაზეთის კონფლიქტის გადაჭრასთან დაკავშირებით: მმართველი და ოპოზიციური პარტიების პოზიციებს კონფლიქტთან მიმართებაში. საინტერესოა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ რას აკეთებს, როგორი პოლიტიკური კურსი აქვს მას აღებული. მზად არის თუ არა გახდეს დასავლეთის ნაწილი თუ პირიქით, რუსეთისაკენ იკვალავს გზას. განვიხილავთ მმართველის პარტიის არგუმენტებს ამ საკითხებთან დაკავშირებით და შევეცდებით შევაფასოთ მათი ხედვა. ასევე საინტერესოა ყოფილი მმართველი პარტიის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხედვებიც, ვინაიდან მათი მმართველობის პერიოდში მოხდა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის გამწვავება, საუბარია აგვისტოს ომზე. განვიხილავთ და შევაფასებთ მათ ქმედებებსა და გადაწყვეტილებებს.

აფხაზეთის კონფლიქტმა ქართული სახელმწიფო სერიოზული კონფლიქტის გამოწვევის წინაშე დააყენა. ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა მიბმულია ქართული სახელმწიფოებრიობის მომავალთან - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე ვერ შედგება ძლიერი, თავისუფალი, დემოკრატიული ქართული სახელმწიფო.

განვლილმა პერიოდმა დაგვანახა, რომ რუსეთთან მოლაპარაკებების წარმოება ტყუილი დროის ფლანგვაა. რუსეთს აღიარებული აქვს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთიც დამოუკიდებელ ტერიტორიებად და არ აპირებს თავისი აზრის შეცვლას. თუ გადავხედავთ ბოლო პერიოდში საქართველოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს ტერიტორიულ კონფლიქტთან მიმართებაში, შეგვიძლია დაახლოებით გეგმა შევადგინოთ, თუ როგორ ვიმოქმედოთ შემდეგ, რა იქნება უკეთესი. გამოვრიცხოთ და აღარ გავიმეოროთ შეცდომები, რომლებიც უკვე დაშვებულია მმართველ ხელისუფალთა მიერ. აუცილებელია განვაგრძოთ პირველ რიგში თვითგანვითარება, გადავხედოთ მსგავსი კონფლიქტებიდან გამოსული ქვეყნებს და გავითვალისწინოთ მათი გამოცდილებაც. განსხვავებით რუსეთის პოლიტიკისგან, ჩვენი პრიორიტეტი უნდა იყოს თავისუფლება, დემოკრატია, თანასწორობა, სამართლის უზენაესობა, ადამიანის უფლებათა დაცვა.

უნდა შევეხოთ უკრაინის კონფლიქტის საკითხს, ვინაიდან დღეს ეს ყველაზე აქტუალური თემაა და პირდაპირ კავშირშია საქართველოსთან. გამომდინარე იქიდან, რომ უკრაინა საქართველოს მსგავსად პოსტსაბჭოთა ქვეყანაა და მისი ტერიტორიების ოკუპირება მოახდინა რუსეთმა. აუცილებელია გავავლოთ პარალელი ქართულ რეალობას შორის, ევროინტეგრაციისაკენ როგორ გზას ადგას უკრაინა და უნდა იყოს თუ არა ეს საქართველოსათვის მაგალითი. მეტად მნიშვნელოვანი საკითხია უკრაინისა საქართველოსა და მოლდოვის საკითხი ევროკავშირის წევრობაზე. უკრაინას უკვე მხარი დაუჭირეს ევროპარლამენტში და მიანიჭეს წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი. საქართველომ და მოლდოვამაც გაგზავნა განაცხადი ევროკავშირში და ელის მისგან დადებით პასუხს.

აფხაზეთი, უძველესი დროიდან, საქართველოს განუყოფელი ტერიტორიული ნაწილია. ამაზე მეტყველებს

მრავალრიცხოვანი, ძველი ბერძნულ-რომაული, ბიზანტიური, არაბული, ევროპელი მისიონერების, ქართული, რუსული და სხვა წერილობითი წყაროები. აფხაზეთში კონფლიქტის ჩანასახი და მოსკოვის მიერ მისი ნელ-ნელა მომზადება ფართომასშტაბიან კონფლიქტამდე, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ჩამოყალიბებისთანავე იწყება. არაქართული ეთნიკური წარმომავლობის აფსუებს საბჭოთა რუსეთი მთელ რიგ პრივილეგიებს ანიჭებდა, რაც ძირითადად ქართველთა შევიწროების ხარჯზე ხდებოდა.

საინტერესოა აფხაზური სეპარატიზმის გენეზი, რომელიც განსაკუთრებით გაიზარდა 1985 წლიდან. „პერესტროიკად" წოდებულმა პროცესმა ქართველი ერის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა მაღალ ხარისხში აიყვანა. 1988 წლის შემოდგომაზე საქართველოში იმართებოდა აქციები დამოუკიდებლობის მოთხოვნით, რაც მოსკოვისა და აფხაზ სეპარატისტთა მწვავე ნეგატიურ რეაქციას იწვევდა. ამავე პერიოდში 1988 წლის ნოემბერში, სოხუმში შედგა აფხაზთა საინიციატივო ჯგუფის შეკრება, რომელზეც დაფუძნდა აფხაზთა სახალხო ფორუმი „აიდგილარა". პირველ დამფუძნებელ ყრილობაზე, სადაც აფხაზეთის სტატუსი განიხილებოდა, შეეხნენ აფხაზური ენის განვითარების, ტოპონიმიკის, საკადრო პოლიტიკისა და სხვა საკითხებს. აქვე თავს დაესხნენ „ქართული ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამას", წევრებს მიაჩნდათ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენა არ უნდა ყოფილიყო ქართული.

„აიდგილარა" უწევდა პროპაგანდას სოციალისტური წყობისა და ერთიანი სსრკ-ს შენარჩუნებას. ორგანიზაციაში ჩამოყალიბებული იყო პოლიტიკური და ეკონომიკური, ასევე ნახევრად გასამხედროებული სტრუქტურები, რომელთა ფუნქციაშიც შედიოდა ქართული ორგანიზაციების, ქართველი აქტივისტებისა და მათი ოჯახების აღრიცხვა და მათ შესახებ ინფორმაციის მოპოვება. სეპარატისტები ადგენდნენ ქართველთა სიებს, რომლებიც აფხაზეთში 1949 წლის შემდგომ გადმოსახლდნენ. შეიძლება ითქვას, რომ „აიდგილარას" შექმნა ომისათვის მზადების საწყისი ეტაპი იყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი რუსეთმა კონფლიქტის ინსპირირება მოახდინა.

თანამედროვე ე.წ. ქართულ-აფხაზურმა დაპირისპირებამ მწვავე ხასიათი მიიღო 1989 წლის 18 მარტიდან , როდესაც აფხაზურ სოფელ ლხინში მიღებულ იქნა „აფხაზი ხალხის წარმომადგენლების დადგენილება" და „მიმართვა მიხეილ გორბაჩოვისადმი". ხსენებულ დოკუმენტებში საუბარი იყოეროვნებათაშორისი ურთიერთობების გაჯანსაღების აუცილებლობაზე, აფხაზეთისთვის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სუვერენიტეტის დაბრუნებაზე. ამან გამოიწვია ოფიციალური თბილისისა და ქართული მოსახლეობის აღშფოთება. მთელი საქართველო, მათ შორის, აფხაზეთი ფართომასშტაბიანმა აქციებმა მოიცვა. ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც საქართველომ უარი განაცხადა დსთ-ში გაწევრიანებაზე და რუსეთის ჯარებს საოკუპაციო ჯარების სტატუსი მიენიჭა. მას შემდეგ მოსკოვმა გადაწყვიტა საქართველოს დასჯა და ფარული რეჟისურით, ქართული ოპოზიციური ძალების გამოყენებით დაიწყო შეტევა პარლამენტის შენობაზე, რასაც 1992 წლის 6 იანვარს მოჰყვა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობა. ძალაუფლება ხელთ იგდო კიტოვანისა და იოსელიანის „სამხედრო საბჭომ, ხოლო 1992 წლის 7 მარტიდან კი ედუარდ შევარდნაძისა და ე.წ. სახელმწიფო საბჭოს ხელში გადაინაცვლა.

1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ ვლადისლავ არძინბას მეთაურობით, აფხაზეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რეგლამენტის სრული დარღვევით გააუქმა 1978 წლის აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია და აღადგინა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1925 წლის კონსტიტუცია, რაც ფაქტობრივად წარმოადგენდა აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობიდან გასვლის იურიდიული გაფორმების კიდევ ერთ მცდელობას. ამით კრემლმა სამუშაოები ორივე მიმართულებით დაასრულა, რჩებოდა მხოლოდ ეთნოკონფლიქტის გაჩაღება, რასაც ასევე წარმატებით გაართვა თავი და აგვისტოში, აფხაზეთში დაიწყო შეტაკებები ქართულ და აფხაზურ ჯგუფებს შორის.

1992 წლის 10 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რათა აფხაზეთში შესულიყო საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების გარკვეული კონტინგენტი, კონტროლის ქვეშ აეყვანა სარკინიგზო მაგისტრალი, იქ აღეკვეთა ყაჩაღობისა და ტვირთების გატაცების ფაქტები, ასევე განეიარაღებინა უკანონო შეიარაღებული ფორმირებები. აფხაზეთის რკინიგზის დაცვას გააჩნდა სტრატეგიული მნიშვნელობა, ვინაიდან იგი, საქართველოს ტერიტორიის გავლით ერთმანეთთან აკავშირებდა რუსეთსა და სომხეთს. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება წინასწარ იყო შეთანხმებული პირადად ვლადისლავ არძინბასთან, გალი-ოჩამჩირის ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთისას, აფხაზურმა მონოეთნიკურმა გვარიამ საქართველოს საჯარისო ნაწილებს ცეცხლი გაუხნა. სიტუაცია უკიდურესად გამწვავდა არძინბას რადიო გამოსვლის შემდეგ, როდესაც მან საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა. 1991 წლის 14 აგვისტოს ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა დადგენილება „ზრდასრული მოსახლეობის მობილიზაციისა და აფხაზეთის შინაგანი ჯარის პოლკისთვის იარაღის გადაცემის შესახებ". აფხაზეთში ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების ესკალაცია დაიწყო.

საომარი მოქმედებების დაწყებიდან მცირე ხნის შემდეგ, 1992 წლის 3 სექტემბერს რუსეთის ინიციატივით და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელთა მონაწილეობით მოსკოვში ხელი მოეწერა „შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტისა და კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ". ამ დოკუმენტში 1-ლი მუხლი იწყებოდა შემდეგი აბზაცით: „უზრუნველყოფილია საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა, კონფლიქტის მონაწილე ყველა შეიარაღებული

ფორმირება 1992 წლის 5 სექტემბერს 12:00 საათიდან წყვეტს ცეცხლის და ყოველგვარი ძალის გამოყენებას ერთმანეთის წინააღმდეგ...“

დოკუმენტში ასევე აღინიშნებოდა, რომ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები, რომლებიც დროებით იმყოფებიან საქართველოს რესპუბლიკის, მათ შორის აფხაზეთის ტერიტორიაზე, იცავენ მკაცრ ნეიტრალიტეტს და არ მონაწილეობენ შინაურ კონფლიქტში. რუსეთის ფედერაციის სახელით ხელი მოაწერა პრეზიდენტმა ბორის ელცინმა, ხოლო საქართველოს სახელით - სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ. დოკუმენტში ასევე დაფიქსირდა პირთა სია, რომლებიც დაეთანხმდნენ აღნიშნულ შეთანხმებას. მათ შორის იყო აფხაზი სეპარატისტების ლიდერი ვლადისლავ არძინბა. შეთანხმების შესრულების გარანტად გამოდიოდა რუსეთი, მოირგო ერთგვარი კონფლიქტის მომრიგებლის როლი. ქართულმა მხარემ გაგრიდან გაიყვანა საჯარისო ნაწილები, დატოვე ქალაქში მხოლოდ მშვიდობიანი მოსახლეობა, თუმცა მოწინააღმდეგე მხარემ რუსეთის ხელმძღვანელობით დაარღვია შეთანხმება და მთელი სამხედრო პოტენციალით შეუტია გაგრას. 1992 წლის 1-ლ ოქტომბერს სეპარატისტებმა შტურმით აიღეს გაგრა, სადაც დაიწყო ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა. ამის შემდეგ 1993 წლის 27 ივლისს კვლავ რუსეთის შუამავლობით მოეწერა ხელი შეთანხმებას „აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის და მიის დაცვის კონტროლის მექანიზმების შესახებ“. სოჭის შეთანხმება ითვალისწინებდა დაპირისპირებულ მხარეთა განიარაღებას და კონფლიქტის ზონის ეტაპობრივ დემილიტარიზაციას. შეთანხმება ითვალისწინებდა ავიაციის, არტილერიის სანაოსნო საშუალებების, ყოველგვარი სამხედრო ტექნიკისა და იარაღის გამოყენების აკრძალვას. ასევე კრძალავდა კონფლიქტის ზონაში ჯარებისა და სხვა ფორმირებების შეუთანხმებელ გადაადგილებებს, იარაღისა და ტყვია-ქამლის შეტანას, სამხედრო ინფრასტრუქტურის ობიექტების აგებას.

ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებამ, რომელიც კვლავ დარჩა რუსეთის პოლიტიკისადმი ერთგული, შეთანხმებაზე ხელმოწერისთანავე დაიწყო ჯარებისა და მძიმე ტექნიკის გაყვანა. აფხაზეთის მხრიდან მსგავს ნაბიჯებს ადგილი არ ჰქონია, რაც იმთავითვე მანიშნებელი იყო დაგეგმილი პროვოკაციისა. [1]

16 სექტემბერს დაიყო სოხუმის დაბომბვა. ედუარდ შევარდნაძე მიმართავდა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სხვადასხვა ქვეყნებს დახმარებისთვის, თუმცა ამას არ მოჰყოლია რაიმე სერიოზული ნაბიჯი საერთაშორისო თანამეგობრობების მხრიდან.1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა. დაცემიდან 3 დღის შემდეგ სეპარატისტულმა შენაერთებმა განახორციელეს მასშტაბური ეთნოწმენდა.

რუსეთის წაქეზებითა და უშუალო მონაწილეობით მივიღეთ რთული კონფლიქტი. უპრიანია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ნაცვლად რუსეთ საქართველოს ომი ეწოდებოდეს ამ კონფლიქტს. დღესაც არ გვაქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული რა თვალსაზრისით, რა კუთხით უნდა წარიმართოს ბრძოლა აფხაზეთში დასაბრუნებლად. საქართველოს არა მარტო ტერიტორიის ერთიანობა-მთლიანობის აღდგენა სჭირდება, არამედ ქართული ეროვნული ცნობიერება-შეგნების მთლიანობისაც.

ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში იყო გარკვეული მიმართულები და ტენდენციები აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით. გამომდინარე იქიდან, რომ ნაშრომში ყველა მოსაზრების და მიმართულების განხილვა არ იქნება შესაძლებელი, შევეცდებით გამოვყოთ 2 ძირითადი მიმართულება.

ქართველი საზოგადოების პოლიტიკურ აზროვნებაში აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით ორი ძირითადი მიმართულება იკვეთება. ესენია: ილუზორულ-ეთნოკრატიული ფუნდამენტალიზმის და სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი.

ილუზორულ-ეთნოკრატიული ფუნდამენტალიზმის მიმართულებას საქართველოს უახლოეს ისტორიაში საფუძველი დაუდო ედუარდ შევარდნაძემ. მან და მისმა

1 შოთა მალაშხია „კონფლიქტების ანატომია“, თბილისი, 2011 წ გვ 110-122

გუნდმა ნეგატიური როლი ითამაშეს რუსეთ-საქართველოს ომის დროს აფხაზეთში. მათ მიერ გატარებულმა არასწორმა პოლიტიკამ სოხუმის დაცემა გამოიწვია. საუბარია ომის ეპიზოდებზე, როცა ქართულმა ჯარმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა 1993 წლის 15 მარტს, რის შედეგადაც მოხდა ქართული ჯარის მთლიანი განიარაღება. ამ ფონზე ხელი მოეწერა ლაგომისის დოკუმენტს 1993 წლის 27 ივლისს, რაც ხელს უხსნიდა არძინბას რეჟიმს სოხუმში ლეგალური გზით შესასვლელად. შევარდნაძის ხელისუფლებამ შეგნებულად თუ შეუგნებლად არასწორი კვალიფიკაცია მიანიჭა კონფლიქტის მსვლელობას. ის განიხილებოდა არა როგორც რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი, არამედ როგორც ქართულ აფხაზური დაპირისპირება. [1]

დავით ლაცუზბაია (საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის სპეციალისტი) აღნიშნავს: „ჩვენ ვლაპარაკობდით ოკუპაციაზე, მაგრამ არ ვაფიქსირებდით ვინაა ოკუპანტი“. ამ შეხედულებას ადასტურებს საქართველოს პარლამენტის 1994 წლის დადგენილება. აფხაზეთში ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა დასტურდება საერთაშორისო მასშტაბითაც (ეუთოს ბუდაპეშტის სამიტი 1994წ, ლისაბონის 1996წ, ვარშავის 1997წ, სტამბულის 1999წ), თუმცა არსადაა ნახსენები გენოციდის ორგანიზატორი, რაც შედეგია მაშინდელი ხელისუფლების არასწორი პოზიციისა. არ არის გამიჯნული ეთნიკური წმენდისა და გენოციდის შემსრულებელი და ორგანიზატორი. 1996წლის 17 აპრილის დოკუმენტში შევარდნაძის პარლამენტმა აღიარა, რომ კონფლიქტი იყო არა პოლიტიკური, არამედ ეთნიკური.

„მოქალაქეთა კავშირი“, იმ პერიოდის მმართველი პარტია აყენებს საკითხს საქართველოს ფედერალური მოწყობის შესახებ. აფხაზეთისთვის ფედერაციული სახელმწიფოს სუბიექტის სტატუსის მინიჭება გაიზიარა საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთმაც“. მოცემულ ვითარებაში საქართველოს ფედერაციული მოწყობა, როდესაც გვერდით გყავს აგრესორი და ოკუპანტი სახელმწიფო, რომლის მთავარი მიზანი იყო და არის ქართული სახელმწიფოს შეუმდგარობა და დაშლა, შიგნით კი - არალოიალური ეროვნული უმცირესობები, რომელთა წაქეზება საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ყოველთვის შეუძლია იმავე აგრესორს, წარმოადგენს ქართული სახელმწიფოს ერთიანი ორგანიზმის მოშლა-დანაწევრებას. ასევე დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია 2003წელს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულმა კონცეფციამ, რომელიც წარმოდგენდა საქართველოს ტერიტორიულ-სახელწიფოებრივი მოწყობის სპეციფიკურ მოდელს და გულისხმობდა აფხაზეთის გამოცხადებას ქვეყნის წევრ სახელმწიფოებრივ ერთეულად.

ეს ყველაფერი ყოვლად მიუღებელი იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის, ფაქტობრივად ანგრევდა მის ერთიანობას. გავითვალისწინოთ ისიც, რომ არ არსებობს მუდმივი ხელშეკრულების ცნება. ამ კონკრეტული ხელშეკრულების დადების შემდეგ, ძველი სამართლებრივი ავტონომიის სტატუსი უქმდება. ასევე ნებისმიერ მხარეს აქვს ხელშეკრულების გაუქმების უფლება. მათ უფლება აქვთ გააუქმონ ის საკუთარი ლეგიტიმური, ცალმხრივი სტრუქტურების ან რეფერენდუმის მეშვეობით. ამ კონცეფციით, აფხაზეთის უკანონო და მსოფლიო მასშტაბით აუღიარებელი რეჟიმი ხდება ლეგიტიმური, რეჟიმის ლეგიტიმაცია სხვა თვალსაზრისითაც ხდება, ის წარმოჩნდება როგორც აფხაზეთის მოსახლეობის ნების გამომხატველი ორგანო. გამომდინარე აქედან, დევნილები არ არიან ამ პროცესის სუბიექტები, შესაბამისად დევნილების ნაწილი არ უნდა დაბრუნდეს აფხაზეთში, რათა არ შეიცვალოს დემოგრაფიული ბალანსი. ამ კონცეფციის ფუნდამენტური ნაწილი უზარმაზარ საფრთხეს შეიცავს, სხვა ტერიტორიების თვალსაზრისითაცაფხაზეთი ცხადდება არა საქართველოს ნაწილად, არამედ წევრად - წევრ-სახელმწიფოდ.

საქართველოს რესპუბლიკურმა პარტიამ წამოაყენა საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმა: სუვერენული აფხაზეთი, სუვერენული საქართველოს შემადგენლობაში. ამ შეხედულებას პარტიის მესვეურებმა მოუძებნეს შესაბამისი ისტორიული დასაბუთება. კონცეფციის მიხედვით, საქართველო ყოფილა ქართველებისა და აფხაზების სამშობლო, ხოლო აფხაზეთი მხოლოდ აფხაზების სამშობლო რითაც ასაბუთებენ, რომ აფხაზეთი საქართველო არ არის. ეს პოზიცია რესპუბლიკურ პარტიას აგვისტოს ომის შემდეგადაც არ შეუცვლია.

აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ილუზორულ-ეთნოკრატიული მიმართულება გააგრძელა ექსპერტმა მამუკა არეშიძემ. ის მიმართავს საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების ინიციატივით. ხელს აფარებს რუსეთს და კონფლიქტს განიხილავს მხოლოდ ქართულ-აფხაზურ ჭრილში. ზუსტად ამ იდეასა და ინიციატივას იზიარებს ედუარდ შევარდნაძეც. [2]

დღეს, ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში აფხაზეთის კონფლიქტთან მიმართებაში ილუზორულ-ეთნოკრატიულ ფუნდამენტალიზმის გზას აგრძელებს მმართველი კოალიცია „ქართული ოცნება’

ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში ილუზორულ-ეთნოკრატიული ფუნდამენტალიზმის მიმართულების საპირისპიროდ ჩამოყალიბდა სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მიმართულება. მას სათავეში ედგნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები, დევნილთა წარმომადგენლები. ამ პოზიციებს იზიარებდა აკაკი ბაქრაძე და მან მისცა ბიძგი ამ მიმართულების ჩამოყალიბებას. 1994 წლის 7-9 მაისს არჩეულ იქნა „აფხაზეთის განთავისუფლების კავშირი“ აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობაზე. ის წარმოდგენდა აფხაზეთიდან დევნილი

1 მამული ბერია, ინტერვიუ დავით ლაცუზმაიასთან, თბილისი, ოქტომბერი, 2018წ

2 საქართველოს პარლამენტის დადგენილება „აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“, 1996 წლის 17 აპრილი

მოსახლეობის სრულუფლებიან წარმომადგენლობით ორგანოს. სწორედ ამ ყრილობის რეზოლუციაში დაფიქსირდა პირველად რეალური აგრესორი - რუსეთი. რეზოლუციაში განმარტებულია, რომ მიუხედავად ქართველ პოლიტიკოსთა დაჟინებული მოთხოვნისა, საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთი „მშვიდობის გარანტად" სცნო. ყრილობაზე აკაკი ბაქრაძე გადმოსცემს იდეის არსს. მისი თქმით, აფხაზეთის დაბრუნება და ქვეყნის ღირსების აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ ომის გზით და არ არსებობს სხვა არანაირი ალტერნატივა. „სხვა გზა, რომელზედაც აქ არის ლაპარაკი - მშვიდობიანი მოლაპარაკებებისა თუ სხვა რამ, რა თქმა უნდა, ჩვენთვის არა მარტო მიუღებელია, არამედ უბრალოდ შეუძლებელი. ლაპარაკი აქ ალტერნატივაზე არ არის, ამიტომ, რომ ალტერნატივა არ არსებობს." „რვა თვის განმავლობაში მიმდინარეობს მოლაპარაკება იმის თაობაზე, როგორ და რანაირად შეიძლება მოლაპარაკების გზით აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტა. არაფერი ამ რვა თვემ ჩვენ არ მოგვცა და კიდევ ერთი რვა თვე, ორი რვა თვეც არაფერს არ მოგცემს. არ მოგცემს იმის გამო, რომ დღევანდელ ვითარებაში მკაფიოდ ნათელია, არავითარ აფხაზს არ გაუმარჯვია აფხაზეთში. აფხაზეთი წაგვართვა რუსებმა და რუსეთი შუამავლად ამ საქმეში არ გამოდგება".[1] აკაკი ბაქრაძის იდეა მდგომარეობდა იმაში, რომ აფხაზეთის დაბრუნება შესაძლებელი იყო მხოლოდ ომის გზით და გამარჯვების მოპოვებისათვის აუცილებელი იყო ერთიანობა, ერთადერთი რეალური ძალა, რომელიც იმ ეტაპზე ქართველ ხალხს გააჩნდა. „1991 წლის 31 მარტს ქართველმა ხალხმა ერთსულოვნად მისცა ხმა დამოუკიდებლობას. ჩვენი ერთიანობა მდგომარეობს იმაში, რომ ეს გადაწყვეტილება ბოლომდე დავიცვათ, ჩვენი ერთიანობა მდგომარეობს იმაში, რომ აი ამ მიზანს არ გადავუხვიოთ და არ ვუღალატოთ".

აფხაზეთის განთავისუფლების კავშირი იბრძოდა კოლაბორაციონისტულ-კაპიტულანტური ხაზის წინააღმდეგ, ამხელდა იმდროინდელ ხელისუფლებას სახელმწიფო ღალატში. აფხაზეთის განთავისუფლების კავშირის საგანგებო კონფერენციის რეზოლუციაში წერია „1994 წლის 7-9 მაისს გაიმართა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ყრილობა. ყრილობამ, მასში მონაწილე ყველა პოლიტიკურმა ძალამ მკვეთრად უარყოფითი შეფასება მისცა საქართველოს ხელისუფლების დამოუკიდებლობას აფხაზეთის პრობლემისადმი. ჩათვალა იგი კაპიტულანტურ, საქართველოს ეროვნული ინტერესების საზიანო კურსად". აქვე საუბარი იყო აფხაზეთთან ფედერალური ხელშეკრულების თაობაზე, რაც საშიშროებას წარმოადგენდა და წარმოადგენს ქართული სახელმწიფოს ერთიანობის მოშლის თვალსაზრისით.

აფხაზეთის განთავისუფლების კავშირის იდეური მემკვიდრე და საქმის გამგრძელებელი იყო საზოგადოებრივი მოძრაობა „დაბრუნება", რომელიც განაგრძობდა ბრძოლას იმდროინდელი ხელისუფლების ილუზორულ-ეთნოკრატიული ფუნდამენტალიზმის გზის წინააღმდეგ.

ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 28 აგვისტოს დადგენილებას „რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ", რომელიც მიღებულ იქნა წინა ხელისუფლების მიერ. ეს უდავო ფაქტია. დადგენი-

1 აკაკი ბაქრაძე, სტატია „დავაბრუნოთ აფხაზები აფხაზეთში", თბილისი, 1999 წელი

ლებაში წერია: „რუსეთის შეიარაღებული ძალები, რომლებიც იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის, ეგრეთ წოდებული სამშვიდობო ძალები, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა გამოცხადდეს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად". ამ დადგენილების საფუძველზე საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2008 წლის 28 ოქტომბერს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ", რომელმაც განსაზღვრა ამ რეგიონების ახალი სამართლებრივი რეჟიმი. ამჟამად ოკუპირებულ რეგიონებთან დაკავშირებულ ყველა საკითხში საქართველო ეყრდნობა აღნიშნული კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებს. ამ კანონით გაუქმდა ყველა ხელშეკრულება, რომელიც იყო ხელმოწერილი 1993 წლიდან 2008 წლამდე და მოქმედება დაიწყო ერთადერთმა დოკუმენტმა, კანონმა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ.

უკეთესი იქნებოდა, თუ ამ კანონს ყოფილი ხელისუფლება მიიღებდა 2008 წლის ომამდე, ვინაიდან ეს კანონი შეძლებდა მეტ-ნაკლებად სამართლებრივად შეეზღუდა და გაენეიტრალებინა რუსეთის აგრესიული პოლიტიკა ზოგადად და კონკრეტულად აგვისტოს ომის დროსაც.

ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით აქტიურობდნენ ქართული საზოგადოების წევრებიც. ესენი იყვნენ მწერლები, პოეტები, მსახიობები, აკადემიური წრის წარმომადგენლები, თუმცა მათ პროტესტს უფრო მეტად ეპიზოდური სახე ჰქონდა, ვიდრე ორგანიზებული და მასიური წინააღმდეგობის გამოვლინება. თუმცა ქართული საზოგადოების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცნობიერებას უმძიმეს ტვირთად აწვა ედუარდ შევარდნაძის პერსონა.

კოალიცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" ჩანასახშივე ნათელია, რომ პარტიაც და მისი მმართველიც კონფლიქტს განიხილავენ ეთნიკურ ჭრილში, აფხაზეთსა და ოსეთს სცნობენ კონფლიქტის მხარეებად, რომელთან მოლაპარაკებაც არის შესაძლებელი. მაგალითად მოვიყვანოთ კოალიცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს" 2012 წლის პროგრამიდან ამოღებული ნაწილი :

„აფხაზურ და ოსურ დელეგაციებთან მოლაპარაკებები უნდა იმართებოდეს, როგორც კონფლიქტის მხარეებთან, 2008 წლის აგვისტოს ომამდე გამოყენებული პრაქტიკის შესაბამისად. ქართული მხარე მზად უნდა იყოს გონივრული კომპრომისებისათვის , რომლებიც უზრუნველყოფს უსაფრთხოებას, შექმნის სამშვიდობო პროცესების განვითარების პირობებს და იგივე მიდგომა უნდა მოითხოვოს დაინტერესებული მხარეებისგანაც".

„ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური შეთანხმების შესრულების გარანტიის მექანიზმი უნდა შექმნას ეუთოს და გაეროს ფორმატში. შესაბამისად მათ საშუალება ექნებათ დანიშნონ საგანგებო წარმომადგენელი და პროცესების მონიტორინგისთვის შექმნან საგანგებო მისია".[1]

კოალიციას ეს კონფლიქტები მიაჩნია ხელისშემშლელ ფაქტორად რუსეთთან ურთიერთობების დათბობასა და რეგულირებაში. მისი თვალსაზრისით, უნდა მივაღწიოთ შეთანხმებას, ვაღიაროთ ოკუპირებული ტერიტორიები კონფლიქტის მხარედ. 2011 წლის 21 ნოემბერს ერთ-ერთ ინტერვიუში კოალიციის მომავალი ლიდერი, ბიძინა ივანიშვილი აფიქსირებს, რომ აფხაზეთისა და ეგრეთწოდებული სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მხარეებად არაღიარება სერიოზული სტრატეგიული შეცდომაა. ზემოთთქმული დიდი რისკის შემცველი გადაწყვეტილებაა, რადგან კონფლიქტის მხარედ აღიარებას მივყავართ აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების რისკამდე. ვიხილოთ კიდევ ერთი ამონარიდი 2012 წლის საარჩევნო პროგრამიდან: „დღეისათვის რუსეთსა და საქართველოს შორის წარმოქმნილი უკიდურესად ნეგატიური ურთიერთობები ვითარების სტაბილიზაციისა და კონფლიქტების მოგვარების მთავარი ხელშემშლელი ფაქტორია, ამასთანავე ხელისუფლება საერთოდ უარყოფს რეგიონებთან მოლაპარაკებების შესაძლებლობას; მას არ შესწევს უნარი ხორცია შეასხას საერთაშორისო თანამეგობრობის მოწოდებას კონფლიქტების დიალოგის გზით მოგვარების აუცილებლობის თაობაზე". [2]

ასევე არ განიხილება კონფლიქტის მოთავედ და ოკუპანტად აფხაზეთისა და ოსეთის თემაზე თავად რუსეთი, ოფიციალური მოსკოვი.

კოალიცია „ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს" შემუშავებული აქვს სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისაკენ", რომელიც შეიცავს ორ ნაწილს. ესენია: აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის - სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის განათლების შესაძლებლობების განვითარება და გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის წახალისება. ეს უტოპიური ინიციატივა ატარებს ფორმალურ და ნომინალურ ხასიათს, რადგან შეუძლებელია ვაჭრობის წახალისებაზე საუბარი იქ, სადაც ყვავის კორუფცია, სწორედ ეს მოსაზღვრე რეგიონებია დატვირთული აფხაზეთიდან გადმოტანილი კონტრაბანდული რუსული საქონლით. რაც შეეხება განათლების განვითარების ხელშეწყობას, ეს კიდევ უფრო რთულად განსახორციელებელი მიზანია, რადგან ქართველებს გალის რაიონში ეკრძალებათ მშობლიურ ენაზე განათლების მიღება. ამასთან დაკავშირებით სოხუმის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი დაზმირ ჯოჯუა წერს: „ შეიძლება მიმზიდველი გახდე იმ საზოგადოებისთვის, იმ ელიტისთვის რომელიც ჩაკეტილია და რუსულ დოტაციაზე არსებობს? თან ეს მდგომარეობა მისთვის ხელოვნურადაა შექმნილი რუსეთის მიერ. ასეთი საზოგადოება მიიღებს დასავლური ცხოვრების წესს - კონკურენციას, განათლებას, თანა-

1 „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" 2012 წლის საარჩევნო პროგრამა, ინტერნეტ რესურსი http://www.ivote.ge/images/doc/pdfs/ocnebis%20saarchevno%20programa.pdf

2 „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" 2012 წლის საარჩევნო პროგრამა, ინტერნეტ რესურსი http://www.ivote.ge/images/doc/pdfs/ocnebis%20saarchevno%20programa.pdf

სწორობის იდეას? ამას დამატებული აფსუების ეთნოკრატიული აზროვნება, როდესაც ეს ეთნოსი ყოველთვის იყო სხვებთან, მათ შორის ქართველებთან მიმართებაში პრივილეგირებულ მდგომარეობაში, რამაც საფუძველი დაუდო მათ აპარტეიდულ აზროვნებას".[1]

არსებულ რეალობას უგულებელყოფს კოალიციის დამფუძნებელი და დიდი იმედი აქვს ოფიციალურ მოსკოვთან ინტერესთა თანხვედრის. მისი თქმით, კონფლიქტური ურთიერთობები უნდა ტრანსფორმირდეს მოლაპარაკებების პროცესად და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი საუბარი კონფლიქტების სრულმასშტაბიან მოგვარებაზე, რუსეთის სამხედრო ძალის გაყვანასა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხზე. ამ ნათქვამიდან 5 წლის შემდეგ, 2016 წლის 30 მაისის ღია წერილში, მაშინ, როცა ის დაბრუნდა ოფიციალურ პოლიტიკაში იხსენებს 2011 წელს მიცემულ დანაპირებებს, რომ პერსპექტიულს გახდიდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ქართული სახელმწიფოს იურისდიქციის აღდგენას, დაიწყებოდა რუსეთთან ურთიერთობის დალაგების პროცესი და გაღრმავდებოდა აშშ-სა და ევროკავშირთან მეგობრობა და ინტეგრაცია. აქვე ამბობს „აქვე უნდა ვთქვათ ისიც, რომ ქვეყნის გამთლიანების პერსპექტივა რეალური გახდება მხოლოდ და მხოლოდ მაღალ ღირებულებებზე დაფუძნებულ და ძლიერი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოში, რომელიც მიმზიდველი და საინტერესო უპირველესად ჩვენი აფხაზი და ოსი ძმებისთვის უნდა იყოს". ივანიშვილი ასევე ამბობს, რომ ასეთ სიტუაციაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ყოფნა არც რუსეთისთვისაა სასურველი, რადგან ეს რუსეთის საერთაშორისო თანამეგობრობასთან ურთიერთობას ძალიან შეუშლის ხელს.

ილუზორულ-ეთნოკრატიული მიმართულების გაგრძელებით „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" ცდილობს კონფლიქტის თავიდან არიდებას და არ დგამს რეალურ ნაბიჯებს. ცნობილი ფაქტია, რომ აფხაზეთის კონფლიქტის ფორმატი თავიდანვე ნათელი და განსაზღვრული იყო, რომ ეს არა ეთნიკური, არამედ პოლიტიკური კონფლიქტია და თუ ჩვენი ხელისუფლება შეეცდება, რომ მოლაპარაკებების აწარმოებს ოკუპირებულ ტერიტორიებთან ეს საფუძველშივე არასწორი გადაწყვეტილება იქნება. რადგან არალეგიტიმურ ფორმირებებთან შეხვედრა აძლიერებს არალეგიტიმურ მხარეებს. „ოფიციალური კონტაქტის რისკი - რა თქმა უნდა - აღიარების მინიშნებაა". ამით საქართველოს მთავრობა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მთავრობებს თანასწორუფლებიანად სცნობს.

უტოპიაა აფხაზებისათვის პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და პოლიტიკური მოდელის მიმბაძველი ძალის დემონსტრირება. შეუძლებელია საზოგადოებამ, რომელიც სეპარატისტების კასტის, რუსეთის გენერალიტეტის მართულია და წლების მანძილზე ანტიქართულ და არადემოკრატიულ გარემოშია, მიიღოს მოდერნიზაციის პარადიგმა საქართველოს მაგალითზე.

ბუნებრივია, ქვეყანაში მიდინარე ყველა პროცესზე და უმთავრესად ტერიტორიული კონფლიქტის მოგვარებაზე უმთავრესი პასუხისმგებლობა ენიჭება მმართველ პარტიას. სწორედ მისი პასუხისმგებლობის სფეროა ამ პრობლემებზე რეაგირება და მუშაობა.

საინტერესოა განვიხილოთ ყოფილი მმართველი პარტიის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, პოლიტიკური ხაზი აფხაზეთის კონფლიქტთან მიმართებაში, რადგან სწორედ მათი მმართველობის პერიოდში 2008 წლის აგვისტოს აგრესიის დროს, მკვეთრად გამოიკვეთა რუსეთის როგორც ორგანიზატორის როლი აფხაზეთისა და ოსეთის კონფლიქტთან მიმართებაში.

2003 წლის ნოემბრის რევოლუციის შემდეგ, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო აქტიური ნაბიჯების გადადგმა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენის მიზნით. პირველ რიგში მოგვარდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან დაკავშირებული პრობლემები და ამის შემდეგ, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ძალისხმევა ცხინვალის რეგიონის საკითხისკენ მიმართა. გამომდინარე იქედან, რომ რუსეთის წაქეზებით ქართველებსა და ოსებს შორის დაპირისპირების ესკალაცია მოხდა, ქართული მხარე უფრო მეტად დარწმუნდა, რომ კონფლიქტის დარეგულირების პროცესში აუცილებელი იყო საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური ჩართვა.

მომდევნო პერიოდის მანძილზე, ცხინვალის რეგიონში სხვადასხვა სახის პროვოკაციებსა და შეიარაღებულ თავდასხმებს უფრო ხშირი სახე მიეცა. ფიქსირდებოდა რუსეთის სამხედრო თვითმფრინავების მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევს ფაქტები. 2008 წლის 7 აგვისტოს კი რუსეთის ფედერაციის 58-ე რეგულარული არმიის 150-მდე ერთეულმა ჯავშანტექნიკამ გადმოკვეთა რუსეთ-საქართველოს საზღვარი და ცხინვალის მიმართულებით დაიძრარაც მანიშნებელი იყო საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის დაწყებისა.

2004 წლიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი და საქართველოს პრეზიდენტი ყოველწლიურად გამოდიოდა ახალ-ახალი სამშვიდობო ინიციატივებით საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოსაგვარებლად. საერთაშორისო საზოგადოება ამას მოწონებით ხვდებოდა, თუმცა მათი ნებისმიერი ძალისხმევა კრემლის კატეგორიულ წინააღმდეგობას აწყდებოდა. 2007 წელს, გამოიკვეთა მზარდი მხარდაჭერა საქართველოს ხელისუფლებისადმი სამშვიდობო პროცესის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. 15 ოქტომბერს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ცალსახად არის აღიარებული, რომ აფხაზეთიდან დევნილ ნებისმიერ პირს შეუძლია შენ დაბრუნება და დევნილობის ფაქტი ვერ მოახდენს გავლენას დევნილის ინდივიდუალური საკუთრების უფლებაზე, უფრო კონკრეტულად კი იმ საკუთრებაზე, რომელიც დევნილობამდე გააჩნდათ მათ. ევროკავშირის მზარდი ინტერესები საქართველოს კონფლიქტებისა-

1 დაზმირ ჯოჯუა, „ვიტრინიზაციის" ქიმერა - კონფლიქტოლოგიური რომანტიზმი და აფხაზეთის მენტალური დაკარგვის საფრთხე, newposts.ge

დმი და ბრიუსელის მზადყოფნა, აქტიურად ჩართულიყო მათი მოგვარების პროცესში სულ უფრო საგანგაშო ხდებოდა მოსკოვისათვის.

მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა გაეროს გენერალური ასამბლეის 61-ე სესიაზე 2006 წლის 23 სექტემბერს. სიტყვით გამოსვლისას პრეზიდენტმა მწარედ გააკრიტიკა ოფიციალური მოსკოვის პოლიტიკა და განაცხადა, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ანექსირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ, რაც საერთაშორისო სამართლის უპრეცედენტო დარღვევაა. „ეს კონფლიქტები ძირს უთხრის ჩვენს სტაბილურობას და ჩვენი რეგიონის სტაბილურობას. მემკვიდრეობა, რომელიც გვერგო, უშუალოდ არის დამნაშავე ჩვენი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ძირითად უფლებათა სისტემატურ დარღვევაში. წარმოიდგინეთ, რომ ამ საზარელი მოვლენების მსხვერპლ ბავშვებს საშუალებას არ აძლევენ, მშობლიურ ენაზე ისწავლონ და ილაპარაკონ; ხანდაზმულთ ხელი არ მიუწვდებათ სამედიცინო მომსახურებაზე, ხოლო ახალგაზრდებს რიგიანი განათლების მიღების საშუალება არ აქვთ. ასიათასობით ადამიანი ვერ ბრუნდება საკუთარ სახლში, რომლის დატოვება მიზანმიმართული ეთნიკური წმენდის შედეგად მოუხდა და რომელიც მრავალ შემთხვევაში უკანონოდ გაიყიდა ან სულაც დანგრეულ იქნა. მტკივნეული, მაგრამ ფაქტებით დასაბუთებული სიმართლეა, რომ ხდება ამ რეგიონების ანექსია ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის - რუსეთის ფედერაციის - მიერ, რომელიც აქტიურად უწყობდა ხელს მათთან დაახლოებას რუსეთის პასპორტების მასობრივი გაცემის გზით, რაც საერთაშორისო სამართლის პირდაპირი, უპრეცედენტო დარღვევაა."[1]

პრეზიდენტის გამოსვლა ასევე მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ გაეროს საპატიო ტრიბუნიდან პრაქტიკულად პირველად გაკეთდა საქართველოს ოფიციალური განაცხადი აფხაზეთისა და სამაჩაბლოსთან დაკავშირებული მოლაპარაკებებისა და სამშვიდობო ოპერაციების ტრანსფორმაციის შესახებ. „ამ კონფლიქტებთან ერთად მემკვიდრეობით გვერგო სამშვიდობო მისიებისა და მოლაპარაკების ფორმატები, რომლებიც აღარ არის ეფექტიანი. მარტივად რომ ითქვას: ისინი ხელს ვერ უწყობს ვერც მშვიდობას და ვერც რიგი ან მოლაპარაკებას".

მიხეილ სააკაშვილმა გამოთქვა რწმენა, რომ საჭიროა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთში მოლაპარაკებებისა და სამშვიდობო მისიების ფორმატების შეცვლა. მანვე შემდეგნაირად აღწერა კონფლიქტების მოგვარების ახალი საგზაო რუკის მთავარი ელემენტები: „ამ გეგმის არსებით ელემენტებს შორის უნდა იყო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დემილიტარიზაცია, გაეროს, ეუთოს, ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერით. უნდა იყოს პირდაპირი დიალოგი მხარეებს შორის - და აქ ვგულისხმობ დიალოგს ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და სამხრეთელ ოსებს შორის - რათა მათ მშვიდობისთვის პასუხისმგებლობა იგრძნონ. ასეთ ძალისხმევას შეიძლება მოჰყვეს და მოჰყვება კიდეც წარმატება ორივე რეგიონში საერთაშორისო საპოლიციო ძალების განთავსების შედეგად, ისევ და ისევ საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური მონაწილეობით".

2008 წლის 28 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმს შესთავაზა ახალი სამშვიდობო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა კონკრეტულ წინადადებებს, სახელდობრ: საქართველოს ვიცე-პრეზიდენტის პოსტის შემოღებას, რომელსაც ერო-

1 მიხეილ სააკაშვილი, გამოსვლა გაეროს გენერალურ ასამბლეის 61-ე სესიაზე, ინტერნეტ რესურსი https://www.radiotavisupleba.ge/a/1548827.html

ვნებით აფხაზი დაიკავებდა, აფხაზეთის გარანტირებულ წარმომადგენლობას საქართველოს პარლამენტსა და მთავრობაში, აფხაზეთის წარმომადგენლებისადმი ვეტოს უფლების მინიჭებას აფხაზეთთან დაკავშირებულ ყველა საკვანძო კანონზე, რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციის მიზნით, თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნასა და საზღვაო პორტებზე ერთობლივი კონტროლის დაწესებას, სამართალდამცავი უწყებებისა და საბაჟო სამსახურის თანდათანობით გაერთიანებას და საერთაშორისო გარანტიებს აფხაზეთის შეუზღუდავი ავტონომიისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ამ სამშვიდობო გეგმას კვლავ დაუპირისპირდა რუსეთი, კრემლმა გამოსცა ახალი განკარგულება, რომლის თანახმადაც რუსეთი გამოდიოდა აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმისადმი დაწესებული ეკონომიკური სანქციების რეჟიმიდან და აფხაზეთსა და ე.წ სამხრეთ ოსეთთან პირდაპირ კონტაქტს დაამყარებდა.

ამის პარალელურად კი უფრო და უფრო იზრდებოდა საერთაშორისო მხარდაჭერის საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან საქართველოსადმი. მეტად წარმატებული ხდებოდა საქართველოს ხელისუფლების აქტიურობა კონფლიქტის ზონაში მყოფი რუსეთის „სამშვიდობოების“ ნეიტრალური, ინტერნაციონალური ძალებით ჩანაცვლების მიმართულებით. კრემლისადმი ეს ფაქტორი საგანგაშო სიგნალად იქცა და საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესიისათვის მზადება კიდევ უფრო დაჩქარდა.

მაის-ივნისში კრემლმა ოჩამჩირეში რუსეთის სადესანტო ჯარების ნაწილი შემოიყვანა, 5 ივლისს კი რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთში კონფლიქტის ძალისმიერი გადაწყვეტისაკენ აიღო კურსი. ივლისშივე, ჩრდილოეთ კავკასიაში, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სიახლოვეს გაიმართა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული გრანდიოზული წვრთნები „კავკასია - 2008“ - რუსეთის თავდაცვის 58-ე არმიის და სხვა ნაწილების მონაწილეობით. წვრთნის დროს, ჯარისკაცები ინფორმირებული იყვნენ, რომ სავარაუდო მოწინააღმდეგე საქართველო ეყოლებოდათ.

2008 წლის აგვისტოს კრემლმა სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია განახორციელა საქართველოს წინააღმდეგ, რამაც ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ადგილას ქალაქებისა და სოფლების ნგრევა გამოიწვია.

ხუთ დღიანი მძიმე ბრძოლების შემდეგ, კონფლიქტის მხარეებმა მიაღწიეს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას საერთაშორისო სამშვიდობო ორგანიზაციებისა და საფრანგეთის შუამდგომლობის მეშვეობით. ევროკავშირის შუამავლობით საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის შორის დაიდო 6 პუნქტიანი შეთანხმება. ის თუ რა შედეგები გამოიღო ამ დოკუმენტმა, ვკითხულობთ საგარეო საქმეთა სამინიტროს 2009 წლის 13 აგვისტოს განცხადებაში: „ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების 1 და მე-2 პუნქტები კრძალავს ძალის გამოყენებას და მოუწოდებს საომარი მოქმედებების საბოლოოდ შეწყვეტისაკენ. მიუხედავად ამისა, რუს ოკუპანტებსა და მათ მარიონეტულ რეჟიმებს 2008 წლის აგვისტოს შემდგომ ცხინვალის რეგიონში, საქართველო და აფხაზეთში, საქართველო საოკუპაციო ხაზების მიმდებარე ტერიტორიებზე 30 ქართველი სამართალდამცავისა და 10 სამოქალაქო პირის დაღუპვისთვის ეკისრებათ პასუხისმგებლობა. ამგვარი ინციდენტების შედეგად დაიჭრა ოთხმოცზე მეტი ადამიანი. რუსეთის შეიარაღებული ძალები და მისი მარიონეტული რეჟიმების უკანონო შეიარაღებული ფორმირებები განუწყვეტლივ მიმართავენ ძარცვას, მარადიორობას, ადამიანთა გატაცებას, მკვლელობას, ორგანიზებულ შეიარაღებულ თავდასხმებს და ტერორისტულ აქტებს სამოქალაქო პირებისა და პოლიციელების წინააღმდეგ, უკანონოდ აკავებენ პირებს და საერთაშორისო დამკვირვებლებს და ჩადიან სხვა სახის დანაშაულებს. ევროპის საბჭოს, გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა საკოორდინაციო ოფისის (OCHA), დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) და ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის (HCNM) მიერ ომის შემდგომ გამოქვეყნებული ანგარიშების მიხედვით, ადგილზე არსებული საერთო მდგომარეობა უკიდურესად საშიშია.

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მე-3 პუნქტი ითვალისწინებს მხარეთა მიერ დაზარალებული პირებისთვის ჰუმანიტარული დახმარების შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველყოფას. მიუხედავად ამისა, რუსეთის შეიარაღებული ძალები, ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის პერსონალი და ე.წ. „მესაზღვრეები“ გამუდმებით ბლოკავენ ცხინვალის რეგიონსა და მიმდებარე სოფლებში ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებას. ამასთან დაკავშირებით პროტესტი გამოთქვა რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციამ. რუსეთის მხარის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჰუმანიტარული დახმარების არდაშვება წარმოადგენს გაეროს უშიშროების საბჭოს 1866-ე რეზოლუციის მე-4 პუნქტის დარღვევას, რომელიც “მოუწოდებს პირებისთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის ხელშეწყობისკენ და ამ პროცესისთვის ხელის შეშლისგან თავის შეკავებისაკენ”. რუსი ოკუპანტების მიერ დაწესებული გაუმართლებელი შეზღუდვები ხელს უწყობს ცხინვალის რეგიონის გადაქცევას „‘შავ ხვრელად“, სადაც ნებადართული არ არის ჰუმანიტარული დახმარების გაწევა და ადამიანები სრულად არიან მოკლებულნი ფუნდამენტური უფლებების დაცვას.

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მე-5 პუნქტი ითვალისწინებს რუსეთის შეიარაღებული ძალების დაბრუნებას ომამდე არსებულ პოზიციებზე. თუმცა ნატო, ევროკავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები და საერთაშორისო თანამეგობრობის სხვა წევრები, მათ შორის საქართველო გამუდმებით აცხადებენ იმის შესახებ, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ იმ პოზიციებზე, რომლებიც მათ ეკავათ 7 აგვისტომდე, რუსეთმა არა მარტო ვერ შესძლო ამ მოთხოვნის შესრულება, არამედ მიზანმიმართულად გაზარდა ოკუპირებულ რეგიონებში შეიარაღებული ძალების რაოდენობა და იქ დამატებითი მძიმე შეიარაღება შეიყვანა.

შეთანხმების მე-5 პუნქტი ასევე მოითხოვს, რომ

რუსეთის საოკუპაციო ძალებმა დატოვონ ახალგორის რაიონი და ზემო აფხაზეთი, რადგან ეს ტერიტორიები არასოდეს ყოფილა კონფლიქტის ზონის ნაწილი (არც 90-იან წლებში და არც აგვისტოს ომამდე პერიოდში) და ისინი უკანონოდ იქნა ოკუპირებული რუსული სამხედრო ნაწილების და მარიონეტული შეიარაღებული დაჯგუფებების მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის აგვისტოში მიღწეული შეთანხმების შემდეგ. იმავე წესით, რუსეთის საოკუპაციო ჯარებმა და მათ მიერ მართულმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა უნდა დატოვონ სოფელი პერევი და საჩხერის რაიონი. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განლაგებულია 10 000 სამხედრო მოსამსახურე. რუსეთი აშენებს სამხედრო ბაზებს ცხინვალში, ჯავაში, გუდაუთაში, სოხუმსა და ოჩამჩირეში, რომელიც მოიცავს საზღვაო და საჰაერო ბაზებს".[1]

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 12 აგვისტოს შეთანხმების სრული დარღვევით, რუსეთმა ვეტო დაადო საქართველოში ეუთოსა და გაეროს მისიების საქმიანობას. 2008 წლის 22 დეკემბერს რუსეთმა ვეტო დაადო საქართველოში ეუთოს მისიის მანდატის გაგრძელებას, რამაც საერთაშორისო თანამეგობრობას ცხინვალის რეგიონში სიტუაციის მონიტორინგის ბოლო ინსტრუმენტი წაართვა. 2009 წლის იანვრიდან, საბერძნეთის თავმჯდომარეობამ შეიმუშავა და განსახილველად წარადგინა რამდენიმე პროექტი საქართველოში ეუთოს მისიის შენარჩუნების მიზნით. მაგრამ რუსეთმა აღკვეთა ეუთოს მისიის ყოფნა საქართველოში და 2009 წლის 13 მაისს დაბლოკა საბერძნეთის თავმჯდომარეობის მიერ მოსამზადებელი კომიტეტისთვის მიწოდებული პროექტი. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიხედვით, ხელმომწერები შეთანხმდნენ, რომ დაიწყებოდა საერთაშორისო მოლაპარაკებები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მოდალობათა განსაზღვრის მიზნით. საფრანგეთისა და რუსეთის პრეზიდენტებს შორის 8 სექტემბერს მიღწეული შეთანხმების შედეგად, მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი დაინიშნა 2008 წლის 15 ოქტომბერს, ჟენევაში. მიუხედავად ამისა, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მე-6 პუნქტის დარღვევით, რუსეთის პრეზიდენტმა წინასწარვე გამორიცხა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სტაბილურობისა და უსაფრთხოების საკითხებზე ყველა სახის მოლაპარაკების გამართვის იდეა, ამ რეგიონების „დამოუკიდებლობის" ცალმხრივად აღიარების გზით.

2011წლიდან რუსეთი კვლავ გააქტიურდა საქართველოს მიმართულებით, და მაშინ როდესაც ქვეყანა დასავლეთისაკენ მიისწრაფოდა, საოკუპაციო ძალებმა მავთულხლართების გავლება დაიწყეს. 2013 წლიდან გააქტიურდნენ და ქართლის რამდენიმე კონფლიქტისპირა სოფელიც მოახვედრეს მავთულხლართებს მიღმა (დვანი, დიცი, ხურვალეთი, ორჭოსანი, ბობონევი, ატოცი, ზარდიაანთკარი და სხვა).

ვლადიმერ პუტინი თანასწორუფლებიან პარტნიორად არცერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანას არ აღიქვამს, შესაბამისად მიიჩნევს, რომ უფლება აქვთ ცალმხრივი დათმობები მოსთხოვოს ისე, რომ სანაცვლოდ არაფერი გასცეს. მოსკოვის პოლიტიკა როგორც საქართველოს, ისევე მისი მეზობლების მიმართ, მეტყველებს იმაზე, რომ კრემლი თავის საზღვართან წარმატებული სახელმწიფოს არსებობას საფრთხედ აღიქვამს. რუსეთის გამოისობით მივიღეთ, რომ დღევანდელი მსოფლიო სამართლებრივი წესრიგი ანარქიული ხასიათისაა. არსებობს სამართლებრივი ნორმები, საერთაშორისო სამართლის პრინციპები, მაგრამ მათ უფრო დეკლარირებული სახე აქვთ და ნაკლებ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენენ. საერთაშორისო სამართლის ნორმებს, შიდა სახელმწიფოებრივი სამართლის ნორმებისგან განსხვავებით არ გააჩნიათ იძულების მექანიზმი. არც გაეროა საპოლიციო ფუნქციით აღჭურვილი ორგანიზაცია და არც აშშ - ყოვლისშემძლე ქვეყანა.

აგვისტოს ომით რუსეთმა დამკვიდრებული საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა სერიოზულად შეარყია და მიუხედავად იმისა, რომ საბოლოდ ვერ დაანგრია, მნიშვნელოვანი საფრთხეები შეუქმნა. გაუჩნდა იმედი, რომ ასეთივე ნაბიჯების გადადგმა სხვა მიმართულებითაც შეუძლია და მაინც დაუსჯელი დარჩება. ამ აგრესიის შემდეგარ იყო გამორიცხული, რომ რუსეთს კვლავ გაეგრძელებინა ოკუპაციური ნაბიჯების გადადგმა და ეს ასეც მოხდა უკრაინის შემთხვევაში. მისი მიზანია შავი ზღვა მოაქციოს გავლენის ქვეშ, რითაც შესძლებს სერიოზული კონტროლის დამყარებას აღმოსავლეთ ევროპაზე.

ყოველ ნაბიჯზე სახეზე გვაქვს პრინციპების უგულებელყოფა რუსეთის მხრიდან. როგორ უნდა მოიქცნენ ამ შემთხვევაში ქვეყნები რომ თავი დაიცვან? დღევანდელ მსოფლიოში თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა დემოკრატიის განვითარების მაღალი დონე. ვაცლავ ჰაველმა ამ ფენომენს „ძალა უძალოთა" უწოდა. ამიტომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან სწორედ დემოკრატიის და ეკონომიკური განვითარების გზა მიიყვანს, მართებული საგარეო პოლიტიკის წარმოებასთან ერთა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის როლი ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტში აშკარაა. ეს არის შედეგი იმისა, რომ კრემლი ვერ ეგუება საქართველოში პოზიციების დაკარგვას. დღემდე არსებულმა პოზიციებმა და მიდგომებმა არ გაამართლა.

2008 წლის ომმა შეცვალა კონფლიქტის პარადიგმა. გაუქმდა კონფლიქტის მოწესრიგების სახელშეკრულებო ბაზა, ანუ ყველა ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილი იყო 1993-2008 წლამდე და ამ ეტაპზე მოქმედებს ერთადერთი დოკუმენტი, კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ". კანონის თანახმად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე განვითარებულ მოვლენებსა და მოსახლეობაზე სრული პასუხისმგებლობა დაეკისრა ოკუპანტ მხარეს - რუსეთის ფედერაციას.

დროა ხელისუფლებამ აქტიური მოქმედებები და-

1 საქართველო საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, 2008 წ, 19 დეკემბერი, ინტერნეტ რესურსი https://mfa.gov.ge

იწყოს საერთაშორისო დიპლომატიურ ასპარეზზე, საერთაშორისო ორგანიზაციებში, რამეთუ მოხსნილია ყველა შემაკავებელი და შემზღუდავი ბარიერი გამომდინარე კონფლიქტის პარადიგმის შეცვლიდან.

საერთაშორისო ძალისხმევა ვერანაირ შედეგებს ვერ იძლევა, რადგან რუსეთი მარტივად ბლოკავდა კონფლიქტის რეგიონებში საერთაშორისო მისიების მუშაობას. მექანიზმები კი, რომლებიც კონფლიქტის მოსაგვარებლად შეიქმნა შედეგს არ იძლევა. საერთაშორისო თანამეგობრობა უწევს ანგარიშს რუსეთს, ვინაიდან ის დიდი ენერგორესურსის მფლობელია, რაც ევროპისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

უკრაინის დამსახურებით მსოფლიოს მასშტაბით რუსეთის გავლენა ნელ-ნელა სუსტდება. თითქმის მთელი მსოფლიო დაუდგა გვერდში უკრაინას და რუსეთის წინააღმდეგ სანქციები განახორციელა.ევროკავშირმა დაჩქარებული წესით დაამტკიცა უკრაინის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსზე შეტანილი განაცხადი.შესაბამის დოკუმენტს უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ ხელი 28 თებერვალს მოაწერა. უკრაინამ განაცხადი ქვეყანაში რუსეთის შეჭრის და სრულმასშტაბიანი ომის ფონზე გააკეთა. ომის დაწყების შემდეგ უკრაინამ დიდი მხარდაჭერა მიიღო დასავლეთისგან. მისი ევროკავშირში განევრიანების სურვილი გამოთქვა ევროკომისიის პრეზიდენტმა ურუსლა ფონ დერ ლეიენმა, უკრაინისთვის კანდიდატის სტატუსის დაუყოვნებლივ მინიჭების საკითხი დააყენა პოლონეთის პრეზიდენტმა ანდჟეი დუდამ. უკრაინის მიმართ დასავლეთის მხარდაჭერის ფონზე კი საქართველომ უარი თქვა შეერთებოდა რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს.

უკრაინის მხარდასაჭერად, ჩვენი ღირსების შესანარჩუნებლად ჩვენი ხელისუფლება არ დგამს კონკრეტულ ნაბიჯებს. უარს ამბობს რუსეთის ფედერაციისთვის სანქციებს შეუერთდეს, რასაც ომის შიშით ამართლებს. რაც მეტი სახელმწიფო დაუდგება უკრაინას გვერდში მით უფრო დიდია შესაძლებლობა რუსეთის მანქანაზე გამარჯვების რაც ავტომატურად გულისხმობს უზარმაზარ საშუალებას საქართველოსთვის ოკუპირებული სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დაბრუნების რეალურ შესაძლებლობას. განსხვავებით რუსეთის პოლიტიკისგან, ჩვენი პრიორიტეტი უნდა იყოს ღირსების პატივისცემა, თავისუფლება, დემოკრატია, თანასწორობა, სამართლის უზენაესობა, ადამიანის უფლებათა დაცვა.

მიუხედავად მმართველი პარტიის ყოყმანისა და უკანდახევისა, საქართველოს პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი ქართველი ხალხის მოწოდებითა და მხარდაჭერით, ჩავიდა ევროპაში და მიაღწია, რომ 2022 წლის 4 მარტს საქართველომ მოლდოვასთან ერთად შეიტანა განაცხადი საქართველოსთვისევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის მინიჭების სტატუსთან დაკავშირებით. წლების შემდეგ, საქართველო დაადგა განვითარების სწორ გზას. განვითარებული და მაღალი ღირებულებების მქონე ქვეყნისთვის, დასავლეთის ქვეყნების გვერდში დგომით, ბევრად მარტივი იქნება ოკუპაციაზე ღიად საუბარი და მის აღმოსაფხვრელად მოქმედება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აფხაზეთის დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობის რეზოლუცია, „1992-1993 წლებში საქართველოს მიმართ აფხაზეთში განხორციელებული შედეგებისა და პრობლემების მოგვარების შესახებ“, გაზეთი „დაბრუნება“, 26 მაისი, 1994წ;

2. აფხაზეთის განთავისუფლების კავშირის საგანგებო კონფერენციის რეზოლუცია, დაბრუნება, 1994 წ;

3. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი: „მეცნიერება“, 1990, გვ. 605,608;

4. ბერია მ. სადოქტორო ნაშრომი „ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ძირითადი ტენდენციები აფხაზეთის კონფლიქტის გადაჭრის გზებთან დაკავშირებით“, თბილისი, 2020. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა. გვ. 32; 41-50; 48-50;

5. მალაშხია შ. „კონფლიქტების ანატომია“, თბილისი 2011. გვ. 11-29; 42-47;

6. პერტია დ. „აგვისტოს ომის შემდეგ; კრიზისული დიპლომატია და „საქართველოს საკითხი“ გლობალურ პოლიტიკაში, თბილისი, 2011. გვ. 28-33; 103-108;

7. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ“, თბილისი, 2008 წ. 28 აგვისტო;

8. საქართველოს პარლამენტი, დადგენილება „აფხაზეთში კონფლიქტების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“,თბილისი 1996 წ. 17 აპრილი;

9. საქართველოს მთავრობა, ანგარიში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სრულმასშტაბიან აგრესიასთან დაკავშირებით, თბილისი, 2009 წ. გვ. 70;

10. ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო - თბილისი. 2012 წლის საარჩევნო პროგრამა;

11. ჯოჯუა დ. „ვიტრინიზაციის“ ქიმერა - კონფლიქტოლოგიური რომანტიზმი და აფხაზეთის მენტალური დაკარგვის საფრთხე. თბილისი 2018 წ;

12. https://www.vox.com/2014/9/3/18088560/ukraine-everything-you-need-to-know;

13. https://www.vox.com/22954833/russia-ukraine-invasion-strategy-putin-kyiv;

14. https://www.vox.com/22917719/russia-ukraine-invasion-border-crisis-nato-explained;

15. https://www.cfr.org/global-conflict-tracker/conflict/conflict-ukraine;

16. https://mod.gov.ge/ge/page/39/tanamshromloba-evrokavshirtan;

17. https://www.britannica.com/topic/Ukraine-crisis;

18. https://edition.cnn.com/2022/02/25/business/list-global-sanctions-russia-ukraine-war-intl-hnk/index.html;

19. https://www.opb.org/article/2022/02/24/russia-ukraine-what-to-know-after-first-day/;

20. https://www.bbc.com/news/world-europe-60504334.